სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

12 აგვისტო, 2026 წელი

ბრძანება №01-02/151

ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების შერჩევისა და განხორციელების დებულების დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის №06-01/134 დადგენილების,** ,,ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი გრანტის საპროექტო განაცხადის, აღწერილობის და პერსონალის თანხმობის განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 6 აგვისტოს **№06-01/149 ბრძანების,** „ბსუ-ს **2026 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 05 დეკემბრის №07-01/39 გადაწყვეტილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **2026 წლის ბიუჯეტში ცვლილების** შეტანის შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 17 ივლისის **№01-10/76 ბრძანების,** ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2026 წლის 12 აგვისტოს სამსახურებრივი ბარათის (№1039079, 12/08/2026 წ.) და ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 12 აგვისტოს წარდგინების (სამსახურებრივი ბარათი №1041060, 12/08/2026 წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს **ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების** (ხანგრძლივობა - <u>არანაკლებ 6 თვე</u> და <u>არაუმეტეს 18 თვე</u>) **შესარჩევი კონკურსი შემდეგ მიმართულებებში:**

1.1. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დარგობრივი მიმართულებით;

1.2. ინჟინერია და ტექნოლოგიების დარგობრივი მიმართულებით;

1.3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებების დარგობრივი მიმართულებით;

1.4. აგრარული მეცნიერებების დარგობრივი მიმართულებით;

1.5. სოციალური მეცნიერებების დარგობრივი მიმართულებით;

1.6. ჰუმანიტარული მეცნიერებების დარგობრივი მიმართულებით;

1.7. **ინტერდისციპლინური** მიმართულებით;

1.8. **,,ახალგაზრდა მეცნიერის"** მიერ განსახორციელებელი <u>დარგობრივი</u> **ან/და** <u>ინტერდისციპლინური</u> მიმართულებით მიზნობრივი კვლევითი პროექტი.

2. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგად გამარჯვებული ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების **საერთო ბიუჯეტი განისაზღვროს 300 000 ლარის** ოდენობით, მათ შორის:

ა) თითოეული მიმართულებით (1.1.-1.7.) ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი პროექტის განხორციელების ბიუჯეტი (საერთო ღირებულება) არ უნდა აღემატებოდეს **50 000 ლარს;**

ბ) **ახალგაზრდა მეცნიერის** (პირი, რომელსაც დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღამდე ბოლო 7 წლის პერიოდში) მიერ წარმოდგენილი **პროექტის ბიუჯეტი** არ უნდა აღემატებოდეს **20 000 ლარს;**

გ) თითოეული მიმართულებით (1.1.-1.8.) ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტის შესრულების დაწყების თარიღი - არაუადრეს **2026 წლის 01 ოქტომბრისა.**

3. **კონკურსის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:**

ა) საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა - 2026 წლის **13 აგვისტოდან** 2026 წლის **20 აგვისტოს** 17:00 საათამდე;

ბ) საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვისა და შეფასების ვადა - 2026 წლის **21 აგვისტოდან** 2026 წლის **24 აგვისტოს 15:00 საათამდე** (შაბათ-კვირის ჩათვლით);

გ) საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის შედეგების **ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნება** - 2026 წლის **24 აგვისტოს არაუგვიანეს 17:00 საათისა;**

დ) საკონკურსო შედეგის გასაჩივრების ვადა - 2026 წლის **24 აგვისტოდან 26 აგვისტოს 17:00** საათამდე (ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) საშუალებით);

ე) სააპელაციო კომისიის მიერ კონკურსანტთა საჩივრების/აპელაციის (არსებობის შემთხვევაში) განხილვა და გადაწყვეტილების მიღება - 2026 წლის **26, 27 და 29 აგვისტოს,** სააპელაციო კომისიის საოქმო გადაწყვეტილების **(შედეგის) წარდგენა ბსუ-ს რექტორის, კონკურსანტის (საჩივრის ავტორის) და საკონკურსო კომისიისათვის** - გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა (მაგრამ არაუგვიანეს 2026 წლის **31 აგვისტოს 11:00** საათამდე);

ვ) კონკურსის **საბოლოო შედეგების** დასამტკიცებლად ბსუ-ს აკადემიური საბჭოსათვის წარდგენის ვადა - 2026 წლის **31 აგვისტოს** არაუგვიანეს 17:00 საათამდე;

4. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია წარმოადგინოს **ელექტრონულად** ელფოსტაზე: bsugrant@bsu.edu.ge და შემდგომ **მატერიალური სახით** ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით, შემდეგი **საკონკურსო დოკუმენტაცია:**

4.1. ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი გრანტის საპროექტო განაცხადი, შევსებული ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 06 აგვისტოს №01-02/149 ბრძანებით დამტკიცებული **ფორმის (დანართი №1)** შესაბამისად (აღნიშნული ფორმის გრაფები მოიცავს **მისათითებელ ინფორმაციას** განმცხადებლის (შემდეგში - პროექტის მენეჯერი); პროექტის დასახელების; პროექტის ტიპის (დარგობრივი/ინტერდისციპლინური/ახალგაზრდა მეცნიერის); სამეცნიერო მიმართულების; პროექტის ხანგრძლივობის; პროექტის ბიუჯეტის; პროექტში ჩასართავი ძირითადი (მკვლევრები) და დამხმარე პერსონალის (მათ შორის სტუდენტების) ბსუ-ს სხვა მიზნობრივ კვლევით პროექტში ჩართულობის შესახებ, ასევე პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე განმცხადებლის (პროექტის მენეჯერის) წერილობით განაცხადს);

4.2. ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტის აღწერილობა (გეგმა-გრაფიკით და ბიუჯეტით), შევსებული ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 06 აგვისტოს №01-02/149 ბრძანებით დამტკიცებული ფორმის **(დანართი №2)** შესაბამისად (მათ შორის გრაფა ,,ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტის ბიუჯეტის ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია" ხელმოწერილი უნდა იყოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ (პროექტის წარმდგენის (მენეჯერის) მიერ შედგენილი საპროექტო განაცხადის ბიუჯეტის ნაწილზე თანხმობის შემთხვევაში);

4.3. ბსუ-ს მიზნობრივ კვლევით **საგრანტო პროექტში ჩართულობაზე (მონაწილეობაზე) თანხმობის განაცხადი** (განაცხადები), შევსებული თითოეული ჩასართავი პირის მიერ, ბსუ-ს რექტორის 2026 წლის **06 აგვისტოს №01-02/149 ბრძანებით** დამტკიცებული **ფორმის** (დანართი

№3) შესაბამისად (აღნიშნული ფორმის გრაფები მოიცავს **მისათითებელ ინფორმაციას** განმცხადებლის **(შემდეგში - პროექტის მენეჯერი); პროექტის დასახელების; პროექტის ტიპის** (დარგობრივი/ინტერდისციპლინური/ახალგაზრდა მეცნიერის); **პროექტში ჩასართავი პირის სტატუსის** (ძირითადი (მკვლევრები)/დამხმარე პერსონალი/სტუდენტები); პროექტში ჩართვაზე განმცხადებლის თანხმობის, ასევე პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე განმცხადებლის **წერილობით განაცხადს);**

4.4. პროექტის მონაწილე ბსუ-ს დასაქმებულთა (პერსონალის) **CV-ები** (პროექტში ჩასართავი პირების, გარდა სტუდენტებისა);

4.5. პროექტის მონაწილე თითოეული სტუდენტის ცნობა და სასწავლო ბარათი.

5. ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება, წინამდებარე ბრძანება, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის №06-01/134 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების შერჩევისა და განხორციელების დებულება“ და „ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი გრანტის საპროექტო განაცხადის, აღწერილობის და პერსონალის თანხმობის განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 06 აგვისტოს №01-02/149 ბრძანებით დამტკიცებული ფორმები (ბრძანების **№1-3 დანართები) განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე** (ველში „კონკურსები“).

6. სამეცნიერო კვლევების სამსახურმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების შესაბამისად ბსუ-ს ვებგვერდზე განსათავსებელი კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების მომზადება და განცხადებაზე დასართავ სამართლებრივ აქტებთან და ფორმებთან ერთად ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა.

7. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (იურიდიული ცნობარის ველში „ბსუ-ს რექტორის აქტები“).

8. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს ბსუ-ს აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს ფაკულტეტების და ინსტიტუტების ადმინისტრაციების მიერ და ასევე გავრცელდეს ინფორმაცია ბსუ-ს პორტალის მეშვეობით (დაეგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS)).

9. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს: ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**